

საზოგადოებრივი  
მაუწყებლის  
არქივის  
მომსახურება  
და ფასები:

ქვემო  
ფონდი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის მომსახურება და ფასები:

მომსახურება განხორციელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ. გთხოვთ მომსახურების საფასური ჩარიცხოთ ქვემოთ მოცემულ ანგარიშზე.  
რეკვიზიტები:



საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცული აუდიო, ვიდეო, კინო, ფოტო მასალის გადანერა ხორციელდება მხოლოდ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მატარებლებზე.



### სატარიფო კატეგორიები (ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში)

აუდიო და ვიზუალური ნაწარმოები	წელი/რაოდენობა	არაკომერციული ჩვენების უფლებით გამოყენებისთვის		კომერციული ჩვენების უფლებით გამოყენებისთვის								
		საქართველოს მოქალაქეები/რეზიდენტი იურიდიული პირები	უცხო ქვეყნის მოქალაქეები/არარეზიდენტი იურიდიული პირები	ერთჯერადი ჩვენების უფლება		1 წლიანი ჩვენების უფლება		2-დან 3 - წლამდე ჩვენების უფლება		განუსაზღვრელი ვადით ჩვენების უფლება		
				საქართველოს მოქალაქეები/რეზიდენტი იურიდიული პირები	უცხო ქვეყნის მოქალაქეები/არარეზიდენტი იურიდიული პირები	საქართველოს მოქალაქეები/რეზიდენტი იურიდიული პირები	უცხო ქვეყნის მოქალაქეები/არარეზიდენტი იურიდიული პირები	საქართველოს მოქალაქეები/რეზიდენტი იურიდიული პირები	უცხო ქვეყნის მოქალაქეები/არარეზიდენტი იურიდიული პირები	საქართველოს მოქალაქეები/რეზიდენტი იურიდიული პირები	უცხო ქვეყნის მოქალაქეები/არარეზიდენტი იურიდიული პირები	
1	1947 წლამდე	01 წთ	5	15	25	75	50	150	100	300	150	450
2	1947-1980 წწ -მდე	01 წთ	3	9	15	45	30	90	60	180	90	270
3	1980-2000 წწ-მდე	01 წთ	2,5	7,5	10	30	20	60	35	105	65	195
4	2000 წ-დან დღემდე	01 წთ	2	6	6	18	10	30	20	60	40	120
5	2000 წ -დან - დღემდე (ეპსკოპუსი)	01 წთ	3	9	15	45	30	90	60	180	90	270
6	ფოტო	ერთეული	2	6	4	12	6	18	8	24	10	30
7	თელესკეპტაკლი, რადიოსკეპტაკლი, თელეფილმი (სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი, მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა სახის) (ფრაგმენტი)	01 წთ										
	1947 წლიდან - 1980 წლამდე	01 წთ	2	6	10	30	20	60	20	60	60	180
	1980 წლიდან - 2000 წლამდე	01 წთ	1,5	4,5	5	15	10	30	15	45	35	105
	2000 წლიდან - დღემდე	01 წთ	1	3	3	9	5	15	10	30	20	60
8	თელესკეპტაკლი, რადიოსკეპტაკლი, თელეფილმი (სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი, მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა სახის) (სრული)											
	1947 წლიდან - 1980 წლამდე	ერთეული	100	300	200	600	400	1200	არ გაცემა	არ გაცემა		
	1980 წლიდან - 2000 წლამდე	ერთეული	75	225	150	450	300	900	არ გაცემა	არ გაცემა		
	2000 წლიდან - დღემდე	ერთეული	50	150	100	300	200	600	არ გაცემა	არ გაცემა		

**შენიშვნა:**

ფასები განსაზღვრულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით № ----- არქივის მომსახურებისა და სატარიფო კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ;

საბოლოო ღირებულება დგინდება მოთხოვნილი მასალის ქრონომეტრაჟის ნამრავლით ბრძანებით განსაზღვრულ ღირებულებაზე.

- ექსკლუზიურ მასალას წარმოადგენს მასალა, რომელიც მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელშია შექმნილი და სხვა მედიასაშუალებებში არ მოიპოვება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისთვის და მოსწავლეებისთვის, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორებისთვის, სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების და მეცნიერთათვის სასწავლო/სამეცნიერო მიზნებით გამოყენებისთვის ნებისმიერი მასალის ადგილზე გაცნობა ხორციელდება უფასოდ. ასევე შესაძლებელია, იგივე დანიშნულებით, ნებისმიერი მასალის (არაუმეტეს 30 წუთისა) უფასოდ გატანა ზემოთმითითებული დანიშნულებით. მასალების გაცნობისა და გატანისთვის დამკვეთის მხრიდან უნდა იყოს წარმოდგენილი მომართვა-წერილი სასწავლო-საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო დაწესებულებიდან;

- არაკომერციული და სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებით გამოყენების მიზნით გადაცემულ მასალაზე დატანილი იქნება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ლოგო;
- განაცხადის განხილვის ვადა - 10 სამუშაო დღე. განაცხადით მოთხოვნილი მასალის მოცულობის/ ჩასატარებელი სამუშაოების სირთულის გათვალისწინებით, აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ვადით;
- საზოგადოებრივ მაუწყებელს მასალის გასხვისების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ამ მასალაზე აქვს საავტორო ან მომიჯნავე უფლება, რაც რეგულირდება საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით;
- სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივის მომსახურების განევა ხორციელდება წერილობითი განაცხადის საფუძველზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სადაც მითითებული უნდა იყოს მასალის მოპოვების მიზანი და დანიშნულება. ხელშეკრულებაში უნდა აისახოს მომსახურების კატეგორია, ტარიფი და ვადები.
- მომსახურების განევა ხორციელდება მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში ვიდეო, ან აუდიო ჩანაწერების სახით დაცული კონცერტების (მათ შორის, კონცერტში გამოყენებული ნაწარმოებების), ან სხვა ღონისძიებების ავტორებს ან/და შემსრულებლებს, ასევე ფიზიკური პირების საკუთარი თავის შესახებ საარქივო მასალების (ინტერვიუ, გადაცემაში მონაწილეობა და სხვ.) ან მათი მემკვიდრეების მხრიდან, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, აღნიშნული ჩანაწერები გადაეცემათ მხოლოდ პირადი არქივისთვის უსასყიდლოდ, არაკომერციული გამოყენების მიზნით. მასალის დამკვეთებმა უნდა წარმოადგინონ საავტორო უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მასალის გაცემა წარმოებს გენერალური დირექტორის სახელზე წარმოდგენილი განცხადების და მაუწყებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

- საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში დაცული მასალა უსასყიდლოდ გადაეცემა იმ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებიც ახორციელებენ საგამოძიებო-სამძებრო სამუშაოებს და არქივში დაცული მასალები ესაჭიროებათ ამ ტიპის საქმიანობის წარმართვისთვის, შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტაციის წარმოდგენის და შესაბამისი დოკუმენტის (ოქმი ან/და სხვ.) საფუძველზე.
- დრამატული, მუსიკალური და სხვა სახის სათეატრო წარმოდგენის ჩანაწერი, კონცერტი, მუსიკალური ნომერი, სპორტული ღონისძიება, სხვა სახის საღამოები (ფრაგმენტი, ან სრული სახით), რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივშია დაცული, შესაძლებელია გასხვისდეს, მხოლოდ მათი ავტორების თანხმობის წერილის საფუძველზე.

